ბაფის 26 -ე საერთო კრების დელეგატებს

სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის 2021წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო დელეგატებო, გაგაცნობთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის შემოწმების ანგარიშს, რომელიც ჩატარდა სარევიზიო კომისის მიერ (მარიამ ჭურძე, ხათუნა ბარბაქაძე, მარიამ ბიწაძე) და მოიცავს 2020 წლის 12 დეკემრიდან 2021 წლის 10 დეკემბრის პერიოდს.

როგორც სარევიზიო კომისიის დებულებით არის გათვალისწინებული, კომისია ვალდებულია გეგმური შემოწმების საფუძველზე შეისწავლოს გარკვეული საკითხები და კრებას წარუდგინოს შესწავლის შედეგები:

კერძოდ:

- ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები და გამგეობის საქმიანობა;
- კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესრულება ;
- აღმასრულებელი სტრუქტურა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება;
- შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობა და დაგეგმილ ბიუჯეტთან შესაბამისობა.

შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ბაფ-ის საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება. წარმოგიდგენთ ჩატარებული რევიზიის შედეგების მიმოხილვას:

1. ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა და გამგეობის საქმიანობა

ბაფი, წესდების შესაბამისად, საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე.

გამგეობის საქმიანობა-. საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 9 სხდომა. სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ:

- ბაფის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოში პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლის კანდიდატურების შერჩევა;
- ბაფის კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატურებისა და შემადგენლობის (წევრების) განახლება; კომიტეტების 2' წლიანი სამოქმედო გეგმების განხილვა-დამტკიცება;
- ბაფის 2021 წლის შემოსავლებისა და ხარჯების პროექტის განხილვა, ბაფის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება;
- ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებული ბაფის მონიტორინგის წინასწარი შედეგების განხილვა;

განათლების კომიტეტი არის სასერტიფიკაციო პროგრამის და განგრძობითი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კომიტეტთან ფუნქციონირებს:

ა) განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო;

ბ) სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო;

გ) სასერტიფიკაციო პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო.

დ) მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია;

კომიტეტის მიერ შესამოწმებელ პერიოდში ჩატარებულია 9 სხდომა.

სხდომებზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- ბაფის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირების 2020 წლის განგრძობითი სწავლების პროგრამის შესრულების საერთო შედეგები და განგრძობითი სწავლების ჩათვლის საკითხებზე;
- სერტიფიცირების პრეტენდენტებისათვის ცალკეულ საგამოცდო მოდულში ჩათვლების მინიჭების საკითხებზე;
- 2021 წლის ზამთრის, ზაფხულის (3.02.2021-15.02.2021) სესიების სასერტიფიკაციო (ACCA-ის ქართულ ენაზე ადაპტირებული) პროგრამის გამოცდების შედეგებზე;
- ACCA-ის სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეთა განაცხადების განხილვას, მათი ACCA-ის სასწავლო პროგრამით მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების ნაწილში სერტიფიცირებულად აღიარების შესახებ;
- 2021 წლის განგრძობითო სწავლების პროგრამის შედგენას და განხილვაზე;
- განათლების კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ბაფის წევრებისათვის 2021 წლის სექტემბრამდე სხვადასხვა თემებზე დაგეგმილი და ჩატარებული სემინარების შესახებ, კერძოდ: საგადასახადო დაბეგვრა და მიმდინარე ცვლილებები, მცირე ზომის აუდიტური კომპანიების ხარისხის კონტროლზე, მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საკითხებზე.

განათლებისა კომიტეტის საქმიანობა შესაბამისობაშია დამტკიცებულ მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გადამზადების, პროფესიული სერტიფიცირებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრას და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას.

შეფასება: <u>სარევიზიო კომისიის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.</u>

- **საწევროო კომიტეტი:**

მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიებში, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავენ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომიტეტის 3 სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- ნაკლებად რთული საწარმოების აუდიტის ახალი სტანდარტის (სამუშაო ვერსიის) განხილვაში მონაწილეობისათვის სპეციალიზებულ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საკითხი;
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციული წევრების აუდიტის ხარისხის ამაღლებაზე მომართული ღონისძიებების დაგეგმვა.

შესამოწმებელ პერიოდში ხარისსხის კონტროლის წინასწარი მონიტორინგი ჩაუტარდა და დიაგნოსტიკური ანგარიში გაიცა 2 კორპორატიულ წევრზე და დიაგნოსტიკური შემოწმება მიმდინარეობს 2 წევრ კომპანიაში, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დასრულდება.

შეფასება: სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა <u>რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.</u>

- **ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი**
  „კომიტეტის" მისიაა ხელი შეუწყოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფა - ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრებას „ბაფის" წევრი ბუღალტრების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესასრულებლად.

  კომიტეტის მიერ ჩატარებულია ორი სხდომა.
  სხდომებზე დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები: ბაფის კორპორატიულ და ფიზიკურ პირი წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შესაძლო დარღვევის ფაქტების შესახებ შემოსული საჩივრების განხილვა. განხილვების შედეგად, კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში, ცალკეულ საჩივარზე მიღებულია გადაყვეტილებები, რომელიც წერილობითი ფორმით მიწოდებულია მხარეებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ბაფის წევრებისათვის ჩატარებულია არაერთი სემინარი სხვადასხვა თემატიკით, რომელთა შორის არ არის ეთიკისა და დისციპლინარული მოკვლევის საკითხები.

კომისიის რეკომენდაცია: სარევიზიო კომისია მიიჩნევს, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წევრების მეტი ინფორმირება, ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის დარღვევებთან დაკავშირებით, არსებული კანონმდებლობითა და ბაფის შიდა ნორმატიულ ბაზით დადგენილ მოთხოვნებსა და დისციპლინარულ ღონისძიებებზე.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე, კომიტეტის საანგარიშო პერიოდის საქმიანობა <u>დამაკმაყოფილებლად შეფასდა.</u>

- **საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი**

  2021-2022 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, საქმიანობა განხორციელებულია შემდეგი მიმართულებით:

  1. განგრძობითი სწავლების გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადებაში მონაწილეობა;
  2. სატელეფონო ზარებისა და ადგილზე კონსულტირებისას გამოვლენილ აქტუალურ საკითხებზე კომიტეტის მიერ პასუხის მომზადება და გამოქვეყნება.
  3. წერილობითი შემოსულ კითხვებზე, ბაფის კონსულნტატის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვენებამდე ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე.
  4. ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო დაბეგვრის გაიდლაინების მომზადებაზე მსჯელობა.
  5. საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონპროექტების საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობა პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, კომიტეტის თავმჯდომარის (დავით პაპიაშვილი) უშუალო მონაწილეობით, საანგარიშო წელს, ბაფის წევრებისათვის ჩატარებულია 3 სემინარი (12 საათი) – 2020-2021 წელს საგადასახადო დაბეგვრის სფეროს სიახლეებთან და ცვლილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, შეხვედრებზე წევრების მხრიდან წამოსულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, თუმცა არ ხდება ჩატარებული ღონისძიებების დაოქმება.

კომისიის რეკომენდაცია: კომიტეტმა აწარმოოს საოქმო ჩანაწერები მისი საქმიანობის, დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე <u>კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.</u>

- **სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი**

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე, კომიტეტის საანგარიშო პერიოდის საქმიანობა <u>დამაკმაყოფილებლად შეფასდა.</u>

- **საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი**

  2021-2022 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, საქმიანობა განხორციელებულია შემდეგი მიმართულებით:

  1. განგრძობითი სწავლების გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადებაში მონაწილეობა;
  2. სატელეფონო ზარებისა და ადგილზე კონსულტირებისას გამოვლენილ აქტუალურ საკითხებზე კომიტეტის მიერ პასუხის მომზადება და გამოქვეყნება.
  3. წერილობით შემოსულ კითხვებზე, ბაფის კონსულნტატის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვენებამდე ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე.
  4. ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო დაბეგვრის გაიდლაინების მომზადებაზე მსჯელობა.
  5. საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონპროექტების საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობა პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, კომიტეტის თავმჯდომარის (დავით პაპიაშვილი) უშუალო მონაწილეობით, საანგარიშო წელს, ბაფის წევრებისათვის ჩატარებულია 3 სემინარი (12 საათი) – 2020-2021 წელს საგადასახადო დაბეგვრის სფეროს სიახლეებთან და ცვლილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, შეხვედრებზე წევრების მხრიდან წამოსულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, თუმცა არ ხდება ჩატარებული ღონისძიებების დაოქმება.

კომისიის რეკომენდაცია: კომიტეტმა აწარმოოს საოქმო ჩანაწერები მისი საქმიანობის, დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე <u>კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.</u>

- **სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი**

„კომიტეტის" მისიაა საქართველოში ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

სტანდარტების კომიტეტის მიერ 2021-2022 წლების სამუშაო გეგმის შესაბამისად ონლაინ რეჟიმში განხორციელდა შემდეგი აქტივობები.

1. ჩატარდა სემინარი მე-2 და მე-3 კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და ანგარიშგების რეპორტალზე ატვირთვისათვის
2. ჩატარდა სემინარი მე-4 კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და ანგარიშგების რეპორტალზე ატვირთვისათვის
3. ფასს-თან დაკავშირებით ბაფში შემოსულ კითხვებთზე მომზადდა შესაბამისი პასუხები.
4. 2021 წელს კომიტეტის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების ქართული ტერმინოლოგიის განხილვის, ექსპერტიზისა და დამკვიდრების სფეროში და კვლავაც აგრძელებს ამ მიმართულებით საქმიანობას.
5. 2021 წელს კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობდნენ ასევე, არაკომერციული პირის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაზე, რომელიც მიმდინარეობდა საერთაშორისო პროექტთან ერთად.

სტანდარტების კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, თუმცა არ ხდება ჩატარებული ღონისძიებების დაოქმება.

კომისიის რეკომენდაცია: კომიტეტმა აწარმოოს საოქმო ჩანაწერები მისი საქმიანობის, დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე <u>კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.</u>

3. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესრულება

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია. წევრების შესაბამისობის პროგრამის (SMO) ფარგლებში. IFAC-ის წევრები ატარებენ

თვითშეფასებას SMO მოთხოვნების შესაბამისად და ავლენენ იმ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგების საფუძველზე, წევრები შეიმუშავებენ SMO სამოქმედო გეგმას, რათა აჩვენონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი SMO მოთხოვნებს და თუ ზოგიერთი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, წარმოადგინონ მათი შესრულების გეგმები.

წევრობის შესაბამისობის პროგრამის (SMO) მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განახლებულია ბაფის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია ბსფ-თან, განთავსებულია ბაფისა და ბსფ-ის ვებგვერდებზე.

4. აღმასრულებელი სტრუქტურა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება

ბაფის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღმასრულებელი სტრუქტურა ხელმძღვანელობს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდაგანაწესითა და ბაფის „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით". ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები ჩამოყალიბებული და გამიჯნულია. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია შრომის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდისა და ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება ბაფის ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგებები.

<u>შეფასება: სარევიზიო კომისიას მიგვაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვის სფერო და შიდა კონტროლის სისტემა გამართულია და დადებითად ვაფასებთ.</u>

5. ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება. დაგეგმილი და ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობა

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ შემოსავლებისა და ხარჯების ასევე, საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების (ფინანსური ანგარიშგება) პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს გამგეობა. საანგარიშო პერიოდის საქმიანობაზე და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩატარებულია აუდიტი და გაცემულია უპირობო დადებითი დასკვნა. დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, დამოუკიდებელი აუდიტორის (შპს „ინტელექტაუდიტი") დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები".

სარევიზიო კომისიამ გააკეთა 2021 წლის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 9 თვიანი პერიოდზე. სადაც მნიშვნელოვანი ცდომილებები არ გამოვლინდა. კომისიის აზრით, 2021 წლის დაგეგმილი საქმიანობისა და ფაქტობრივი შესრულების მონაცემების შედარებითი მიმოხილვა უპრიანია წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ბაფის 2020 წლის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების მონაცემებს

ბაფის 2020 წლის დაგეგმილი და ფაქტიური შემოსავლები და ხარჯები (ლარში)

	შემოსავლები	დაგეგმილი	ფაქტიური	გადახრა	კომენტარი
1	საწევრო შენატანებით მიღებული შემოსავლები	223,900	232628	8728	
2	განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან	590,940	555458	(35,482)	კომენტარი:1
3	სხვა შემოსავლები	217,000	260616	43,616	კომენტარი:2
	სულ შემოსავლები	**1,031,840**	**1,048,702**	**16,862**	
	ხარჯები				
1	საწევრო შემოსავლებით დაფინანსებული ხარჯები	221,537	218,355	(3,182)	
2	განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	604,394	611,931	7,537	
3.	სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები	217,305	251,291	33,986	
	სულ ხარჯები:	**1,043,236**	**1,081,577**	**38,341**	
	მოგება/ზარალი	11,396	32,875	21, 479	

კომენტარი -1:

ამ მუხლით დაგეგმილთან შედარებით ფაქტიური შემოსავლების ცდომილება (35,482ლარი) განპირობებულია პროფესიული სერტიფიცირების გამოცდაზე გამომსვლელი კანდიდატებისა და შესაბამისად, სახელმძღვანელო ლიტერატურის რეალიზაციის შემცირებით. რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო პანდეემიის (COVID-19) გამო, რომლის გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში ვერ მოხდებოდა.

საანგარიშო წელს დაგეგმილ ზარალსა (11,396 ლარი) და ფაქტიურად მიღებულ ზარალს (32,875 ლარი) შორის სხვაობა (21,479 ლარი), არსებითად, გამოწვეულია ამ მუხლით მიღებული შემოსავლების შემცირებით.

სხვა მუხლებში, შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილ და ფაქტიურ მონაცემებს შორის ცდომილება პროპორციული და, საბოლოო შედეგთან მიმართებაში, არაარსებითია.

კომენტარი -2:

სხვა შემოსავლების მუხლით, დაგეგმილთან შედარებით, ფაქტიური შემოსავლები გაზრდილია 43,616 ლარით, რომელიც არსებითად განაპირობა: საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების რეალიზაციის გაუთვალისწინებელმა გაზრდამ (31.000 ლარი) და მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად, თანამშრომლებზე ათასხუთას ლარამდე დარიცხულ ხელფასზე საშემოსავლო გადასახადის შეღავათებმა (12,500 ლარი). შემოსავლების ზრდის შესაბამისად, 33,986 ლარითა გაზრდილი ამ მუხლით დაგეგმილი ხარჯები.

შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური ჯამური მონაცემების რიცხობრივი განსხვავებაც (გაზრდა), არსებითად, განპირობებულია ამ მუხლით.

შეფასება: საანგარიშგებო პერიოდში ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ გაწეული საქმიანობა სარევიზიო კომისის მიერ შეფასდა დადებითად.

სარევიზიო კომისიის წევრები:

1. მარიამ ჭურაძე (თავმჯდომარე)
2. ხათუნა ბარბაქაძე
3. მარიამ ბიწაძე

ანგარიშის მომზადების თარიღი:

06.12.2021 წელი